KA021725674896121

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა
ტელ:(+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi,Georgia
Tel: (+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

N5/39401

25 / ივნისი / 2021 წ.

შპს "სხივი + "-ს (ს/ნ 405081058)
მის: თბილისი, თორნიკე ერისთავის #1
ელ. ფოსტა: eka.kopaliani@gmail.com

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში შემოსული თქვენი 28.04.2021წ. 46961/ფ განცხადების პასუხად, გაცნობებთ, რომ ნებართვის გამცემ შესაბამის უწყებასთან შეთანხმებით, სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წინააღმდეგი, განახორციელოთ ქალაქ თბილისში, თ. ერისთავის ჩიხში მდებარე შპს "სხივი +"-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (ს/კ 01.12.08.036.162) არსებული გაზის მილის, სახელმწიფოს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თანასაკუთრებაში არსებულ (ს/კ 01.12.08.036.161) და სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (ს/კ 01.12.08.036.163) გადატანა, თქვენ მიერ შპს „თბილისი ენერჯი"-სთან შეთანხმებული პროექტის შესაბამისად (იხ. დანართი), უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით და იმ პირობით, რომ არ შეიზღუდება N01.12.08.036.163 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული სერვიტუტის უფლებით დატვირთული 318 კვ.მ. მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლება მესამე პირთათვის. ასევე იმ პირობით, რომ მესაკუთრის მოთხოვნის შემთხვევაში ერთი თვის ვადაში კომპანიის ხარჯებით გადატანილი იქნება ხაზოვანი ნაგებობა.

ამასთან გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული ქმედების განხორციელების შედეგად სახელმწიფოს არ უნდა წარმოეშვას რაიმე სახის ვალდებულება, ზიანი არ უნდა მიადგეს სახელმწიფოს და ხაზოვანი ნაგებობის განთავსების სამუშაოების დამთავრებისთანავე მიწის ნაკვეთი მოყვანილი უნდა იქნას პირვანდელ მდგომარეობაში.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე — გიორგი დუგლაძე